არ განმადიდოთ ისე, როგორც ქრისტიანებმა განადიდეს მარიამის ძე, მე მხოლოდ ალლაჰის მონა ვარ და ამიტომ თქვით: ალლაჰის მონა და მისი შუამავალი

უმარ ბინ ალ-ხატტაბმა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) თქვა: "გავიგონე, რომ ალლაჰის მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა) მას ამბობდა: «არ განმადიდოთ ისე, როგორც ქრისტიანებმა განადიდეს მარიამის ძე, მე მხოლოდ ალლაჰის მონა ვარ და ამიტომ თქვით: ალლაჰის მონა და მისი შუამავალი».
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) კრძალავს მის ზედმეტ ქებას და იმ ზღვარის გადაჭარბებას, რომელიც შარიათით არის დადგენილი, და ასევე მისი ისეთი თვისებებითა და ქმედებებით აღწერას, რომლებიც მხოლოდ უზენაეს ალლაჰს ეკუთვნის. ან დაფარულის ცოდნის მტკიცება, ან მისგან რაიმის თხოვნა ალლაჰთან ერთად, მსგავსად იმისა, როგორც ქრისტიანები სთხოვენ 'ისა იბნ მარიამს(იესოს) (მშვიდობა მას). შემდეგ მან განმარტა, რომ ის არის მსახური ალლაჰის მსახურთაგან და დაგვავალა, რომ ვთქვათ მასზე: ალლაჰის მონა და მისი შუამავალი.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/3406

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee